

საქართველოს მდინარეებზე გარემოსდაცვითი ხარჯის გაანგარიშების ტენდენციები.

ვაჟა ტრაპაიძე, დავით კერესელიძე, კახაბერ ბილაშვილი, გიორგი ბრეგვაძე, ირაკლი მეგრელიძე

ელ.ფოსტა: vazha.trapaidze@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

საქართველოში მოქმედი მეთოდოლოგია საკმაოდ დეტალურ ინფორმაციის შეიცავს ყველა ჰიდროლოგიური მახასიათებლის, ასევე ნაკადის ჰიდროდინამიკური და ჰიდრომორფოლოგიური მდგომარეობის განსაზღვრისა და გაანგარიშების სხვადასხვა ვარიანტების შესახებ. თუმცა კი არსად თუნდაც არაპირდაპირ არ არის მოცემული გარემოსდაცვითი (ეკოლოგიური) ხარჯის განსაზღვრისა და გაანგარიშების ელემენტები და ჰიდროლოგები არანაირად არ იზღუდებოდნენ წყალაღებით მდინარეთა კალაპოტებიდან. XXI საუკუნის დასაწყისიდან კი ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრა ჯერ ეპიზოდურად შემდეგ კი სავალდებულო წესად იქცა.

ვინაიდან საქართველოში არ არსებობს ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშების მეთოდოლოგია, ამიტომ ამ რთული საკითხის გადაწყვეტა ხდება მეტად მარტივი წესით რაც ერთ შემთხვევაში გულისხმობს საშუალო მრავალწლიური ხარჯის 50%-იანი უზრუნველყოფის მინიმუმ 10%-ის დატოვებას მდინარის კალაპოტში, ხოლო მეორე შემთხვევაში საშუალო თვიური ხარჯის 10%. საკმაოდ იშვიათად მაგრამ პრაქტიკაში არის შემთხვევები როდესაც ეკოლოგიური ხარჯი გაანგარიშებულია მინიმალური 10 დღიანი ხარჯის 90 ან 95 %-ის ტოლად. ჰიდროლოგიური რეჟიმიდან და ჰესის სიმძლავრიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში ეკოლოგიურ ხარჯად გამოყენებულია ზემოაღნიშნული პირველი ან მეორე მეთოდოლოგია, ოღონდ მიღებული მნიშვნელობა 13% ან 15%-ის ტოლია. საქართველოში არსებული პრაქტიკა 10%-ის ოდენობით, ზოგიერთ შემთხვევაში აღემატება სხვა ქვეყნებში გავრცელებულ პრაქტიკასა და მეთოდოლოგიას.

ნორმატივის არ არსებობა იწვევს უთანხმოებას დამპროექტებლებს, დეველოპერებსა და სანებართვო სტრუქტურის წარმომადგენლებს შორის. ამასთან ყველა მხარე მაქსიმალური სიფრთხილით ეკიდება აღნიშნულ საკითხს, რადგან სათანადო მეთოდოლოგიის გარეშე რთულია დასკვნის წარმოდგენა.

გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრა სხვადასხვა წყალმომხმარებლისათვის წარმოადგენს მეტად რთულ პრობლემას, რომელიც განპირობებულია წყლის ჰაბიტატების შესახებ მონაცემების არ არსებობით, ჰიდროლოგიური მონაცემების სიმცირით და წყლის რესურსებზე ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორების ზეგავლენით, ამიტომ სხვადასხვა წყალმომხმარებლის მიერ